ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც.

სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ/გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი წრის სახით:

- ✓ ქართული ცეკვა - I-VIკლასებში - კვირაში 3 სთ;
- ✓ მენტალური არიტმეტიკა - I-VIკლასებში კვირაში 2 სთ
- ✓ ჰიფ-ჰოფი კვრაში 2 სთ - I-VIკლასებში კვირაში 2 სთ
- ✓ საშაბათო სკოლა (მათემატიკა)- I-VIკლასებში 2 სთ
- ✓ კარატე - I-VIკლასებში კვირაში 2 სთ
- ✓ ჭადრაკი - I-VIკლასებში კვირაში 2 სთ

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ /გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას უფასო წრის სახით:

- ✓ ჭადრაკის წრე I-VI კლასებში - კვირაში 1 სთ;
- ✓ ინგლისური ენის წრე - I-VI კლასებში- კვირაში 2 სთ;
- ✓ ხელოვნების ისტორია I კლასი;
- ✓ თურქული ენა VII-XII კლასებში;
- ✓ ჩინური ენა VII-XII კლასებში.